

ქართული სპორტის სპორტინფორმაციის

ამ ბილიკს ხაპსი როგორ მოედოს...

რესპუბლიკის დამოუკიდებელი სპორტული ფედერაციების ხაერ-

თაშორისო ფედერაციებში გაწვევრიანება ერთადერთი რეალური გზაა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სოკ-ში გახარეთიანე-

ბლად ამიტომ თითოეული სპორტული ფედერაციის ცდას, დამოუკიდე-

ბლად დაამყაროს ხაერთაშორისო კონტაქტები, განსაკუთრებული მნი-

შენიშნება ენიჭება. ქართველი კარატისტები პირველნი იყვნენ, ვინც ეს

საკითხი ცენტრის გვერდის ავლით დადებითად გადაჭრა. მხოლოდ ერთი მერც-

ხალი რომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ამას მტკიცება არ უნდა. ბილიკს

ხაევი არ უნდა მოედოს. ახლა სხვა სპორტულ ფედერაციებთან ერთად

საქართველოს სამეჯლისო (სპორტული) ცენტრების ასოციაციაც იბრძვის

„თავის“ ხაერთაშორისო ფედერაციაში გასაწვევრიანებლად.

თემატა, ჯობს „წინასტორით“ დავიწყეთ: სამეჯლისო (სპორტული) ცენტრებში საბჭოთა კავშირშიც და საქართველოშიც ამ ბოლო ხანს მოიპოვა საკადრისი აღიარება. ამიტომ, საჭირო გახდა რაიმე კავშირის შექმნა, რათა ერთიანი ძალისხმევით ეფიქრათ და ებრუნათ უცხოელებთან ურთიერთობაზე, საზღვარგარეთულ ტურნირებში მონაწილეობაზე. სწორედ ამ მიზნით ლიტველ ჩესლოვას ნორვეგიის თაოსნობით შეიქმნა სამეჯლისო (სპორტული) ცენტრების ასოციაცია (მის პრეზიდენტად სწორედ ნორვეგიის აირჩიეს). ასოციაციამ მოკლე პერიოდში იმდენი საინტერესო ღონისძიების ჩატარება შეძლო, რასაც 60-იანი წლებიდან მოყოლებული ვერ ახერხებდა საკავშირო კულტურის სამინისტროსთან არსებული შესაბამისი განყოფილება. ჩესლოვას ნორვეგიის საკმაოდ ერუდიტული, განათლებული, პლიერი პიროვნებაა. მან ყველაფერი იფიქრა, რათა პრესტიჟული გამხდარიყო სამეჯლისო (სპორტული) ცენტრები. ასე ჩაეყარა საფუძველი ანსამბლების ჩემპიონატს. გრანდიოზულ ზემოდაქცევა საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც

რის გამო 1990 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო ტურნირების საორგანიზაციო კომიტეტებიდან მოსული 44 მიწვევიდან (200 წევრი) საქართველოს, შავლითადაც, მხოლოდ ერთი — პოლონეთი ხვდა წილად და შემდგომში მასზედაც უარი ეთქვა. აივსო მოთმინების ფილა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა საქართველოში საშეჯლისო ცენტრების თავიკაცმა თენჯიზ გაჩეჩილაძემ თევზით პირში წყალჩაგუბებული აღარ ყოფილიყო. მან 1990 წლის თებერვალს, მოსკოვში პრეზიდენტის სხდომაზე დასვა საკითხი სამეჯლისო ცენტრების საკავშირო ასოციაციის დაშლის ან რეორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ხმების დათვლა, მოგვსენებათ, მოსკოვში ძალიან უყვართ, ის ცხრა კაციც პრეზიდენტში ისევე ეგულეობდა და ეს პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ახლა, უკვე ყველა საგანგებო ყრილობის ჩასატარებლად ემზადებოდა. ზემოთაა საქმე ხომ არ იყო, ყრილობას სამეჯლისო ცენტრების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი დეტალურ პავემანი და პასუხისმგებელი მდივანი რუდი ჰებერტი უნდა დასწრებოდნენ.



სამეჯლისო ცენტრების ასოციაციის ეგიდით მოეწყო (70-იანი წლებიდან მსგავსი ჩემპიონატი მხოლოდ სამეჯრ ჩატარდა).

მაგრამ ნორვეგისა და მის მეგობრებს დილხანს არ უზემიბათ. „ცენტრის“ წარმომადგენლები, როგორც სხვევით გამზადებულზე მოსულა, ახლაც ასე მოიქცნენ. მოვიდნენ და მარტო მოსვლა როდი ეკმარეს. მადა კამაში მოდისო და პრეზიდენტში ცხრა ადგილი დაიკავეს. მდივანი (რომელიც „მათი კაცი“ იყო) გენერალურ მდივანად აქცეეს, მოსკოვს თავისი წარმომადგენლები სჭირდებოდა, წინინგრებს — თავისი, რსფრს-ის საქმეებს ცალკე, აცი წარუდგებოდა, გენერალურს ხომ თავისი მდივანხს სჭირდებოდა და... ასე ჩაივდეს ხელში ადგილების უმრავლესობა. მხოლოდ ადგილზე და სკამებზე რომ იყოს საქმე, ვინ ამოიღებდა ხმას, მაგრამ ყოველი საკითხის გადაწყვეტისას. ცხრა ხმა რომ ჯანბნდა დარჩენილთ, ძაღლის თავი აქიყო ჩამარხული. ასეთი უსინდისო კენჭისყ-

პრეზიდენტის სხდომაზე გაწვილებული თენჯიზ გაჩეჩილაძე აღარც ფიქრობდა ყრილობაზე გამგზავრებას, მაგრამ საქართველოში მორიგ კონკურსზე სტუმრად მყოფმა მეგობრებმა აცნობეს პავემანისა და ჰებერტის მოწვევის შესახებ და დაამატეს:

— ვგონებთ, ახლა დგება ის მომენტი, როცა მნიშვნელოვანი საქმეები უნდა გადაწყვიტოთ და შენი ჩამოუსვლელობა არ იქნებაო.

საქართველოს დელეგაცია წვიდა ყრილობაზე, გულსულდაკრეფილი არც მანამდე მსხდარან და ლეგოში (სადაც ყრილობა ტარდებოდა), ყოველმხრივ მომზადებულნი ჩავიდნენ. თუმცა, ჯობს ბატონ თენჯიზ გაჩეჩილაძეს მოეუხმინოთ:

— წინასწარ შევიმუშავეთ მოქმედების გეგმა. ნორვეგიის სახელზე ვავაზადებთ წერილი, სადაც ვთხოვთ, მოეცა საკავშირო ასოციაციიდან გასვლის უფლება და ვაეწია რეკომენდაცია საერთაშორისო ასოციაციაში გასაწვევრიანებლად.

ამგვარევე წერილი გავაზადებთ პავემანის სახელზე, სადაც ვაცნობებდით, რომ საქართველოს სამეჯლისო ცენტრების ასოციაცია არის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი, რომელიც თავისთავად არ არის დამოკიდებული მოსკოვზე. და ვთხოვთ მივეღეთ საერთაშორისო ასოციაციის სრულუფლებიან წევრად. ყრილობაზე თარჯიმანთან ერთად წავედით. ჩვენი მოვალეობა უბრალო იყო: წვიდაკითხვებით ამ წერილებს, პარალელურად თარჯიმანი გადათარგმნიდა ტექსტს. მაგრამ საკავშირო ასოციაციის დანარჩენმა წევრებმა (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ბელორუსია, უკრაინა, მილდოვა) სულ სხვა სვლა მოიფიქრეს. „საიდუმლო სერობა“ 701-ე თთახში იბარებოდა. თითო რესპუბლიკას ექვსი მანდატი ჰქონდა, ვანურჩევლად იმისა, დელეგაციაში ორი კაცი იყო, ოთხი თუ ექვსი. მათმატიკური სინუსტით გავიანგარიშეთ ყველაფერი და საბოლოო ანგარიშით 36 ხმას ვიღებდით 24 „ცენტრისტი“ წინააღმდეგ.

ყრილობის მთავარი მიზანი ახალი დებულების დამტკიცება და ასოციაციის სახელის შეცვლა გახლდათ. დაიწყეს პუნქტების მიხედვით თითოეული საკითხის გარჩევა და კენჭისყრა. წვერობის საკითხთან დაკავშირებით, ბოლო პუნქტი ასე იყო ჩამოყალიბებული: წვერი შეიძლება იყოს ერთი ასოციაცია ერთი რესპუბლიკიდან. კენჭისყრისას მივადეწით იმას, რომ რსფრს-საც ერთი ორგანიზაცია წარმოადგენს და არა ოთხი, როგორც ადრე იყო. ასოციაციის სტრუქტურაზე მსჯელობისას, რვა საფესურნიანი სტრუქტურა ორ საფესურამდე შევიამცირეთ. ამან გამოიწვია ის, რომ პრეზიდენტში მყოფი იმ ცხრა რუსიდან რამდენიმემ იქვე დაწერა განცხადება წასვლის შესახებ.

მივადეწით იმასაც, რომ დებულებაში ასეთი პუნქტი ჩაიწერა: რესპუბლიკურ ასოციაციას აქვს უფლება, ცალკე შევიდეს საერთაშორისო ასოციაციის წევრად.

ყველა საკითხი ხმების უმრავლესობით წყდებოდა და ეს ხდებოდა პავემანისა და ჰებერტის თანდასწრებით. ამიტომ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები ვეღარ იყვნენდნენ მათთვის ჩვეულ სტიკებს. მართალია, რამდენჯერმე ისინი ისე გამწარდნენ, დარბაზი დატოვეს, მაგრამ ჩვენ დებულების თანახმად, ვაგრძელებდით მუშაობას და ისინიც ბრუნდებოდნენ.

დიდი აქტიუტატი გამოიწვია ასოციაციის სახელწოდებამ. სურდათ კვლავ საბჭოთა კავშირის სახელი გაეტანათ, მაგრამ აქ ვეღარ მოვითმინე და აღვნიშნე, რომ ზოგი რესპუბლიკა სუვერენულია, ზოგი — კვლავ საბჭოთა და ამდენად გაუმართლებელია სსკე ქედრდეს ამ ასოციაციის სახელწოდებაში-მეთქი. მანამდე ქართველები უმრავლეს შემთხვევაში ვდებდით და ამ დუმილმა ისე აღაფრთოვანა ჰებერტი, გვიტხრა: როგორ აკადემიურად დუმილართ და რა დიდებულ გადაწყვეტილებებს იღებთ.

იმამ დღეს აღვნიშნეთ, რომ თუ სსკე დარჩება ასოციაციის დასახელებაში, მაშინ საქართველო იტოვებს გასვლის უფლებას. ამან ლენინგრადის წარმომადგენელი აღაშფოთა, ასე უბრალოდ როგორ უნდა გავიდნენო. სახელწოდების საკითხზე კენჭისყრა მეორე დღისათვის გადაიტანეს, მეორე დღეს კი ზედმეტი მანდატები ჩამოგართვეს, რამაც ის გამოიწვია, რომ სსკე დარჩა სახელწოდების პროექტში. დავგვიმდეს, დასახელება შემიძვე ყრილობაზე დაკონკრეტდებაო.

ჩვენი ყრილობაზე ყოფნის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი პავემანთან შეხვედრა და საუბარი იყო: ვესაუბრეთ ჩვენს გეგმებზე საერთაშორისო ასოციაციაში გაწვევრიანების შესახებ, აუფსენით საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და სპორტული სიტუაცია და დავპირდით, რომ მეორე დღეს გადავცემდით განცხადებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მართლაც, მეორე დღეს გადავეცით წინასწარ გაზადებული განცხადება. პრეზიდენტმა დაგვიამედა, რომ საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის უაზლოეს სხდომაზე განიხილავდნენ საქართველოს საკითხს. ჩვენს შემდეგ შევიდო რესპუბლიკამ მიმართა მას მსგავსი თხოვნით. აი, მოკლედ ვაღმომეცით იმ დაძაბული დღეების „ქრონიკა“, რომელმაც იმედი ჩავვიასახა...

ინაა ავტორი

რამბრო



ამ ფოტოებზე აღბეჭდილ ქართველ მანდილოსანთა ახალგაზრდობის წლები განსხვავებულ ეპოქებს დაემთხვა, მაგრამ მათ, ამ მანდილოსანებს, ერთი რამ ჰქონდათ საერთო — ცხენოსნობის სიყვარული. თუმცა, რატომ მარტო სიყვარული — ცხენოსნობა მათ ყოფაში დამკვიდრებული ტრადიცია გახლდათ. რუსუდან არჩილის ახალი პავევაძე (ზემოთ), გულხაათ პავევაძის შვილიშვილი, როგორც ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ ქალს შეეფერება, ჩინებული ცხენოსანი იყო. გაცაცებისა არ იყოს, პრეზიდენტი „კლასიკური“ ჰქონდა — ფრანგულ ენას ახწავლიდა ქალთა გიმნაზიაში. რუსუდან პავევაძე 1952 წელს გარდაიცვალა, იმ პერიოდში, როცა საქართველოს მხედარ ქალთა შორის უძლიერესი იყო ზუგდიდელი თამარ კითანავა (ქვემოთ), რომელმაც 1951 წელს რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ცხენოსნურ ორიქში.

ფოტოები თამარ ქიქავას არქივიდან.



ვიეტკონაო — ახალი სახეობა

კუნ-ფუ ვიეტკონაო საქართველოში ჯერჯერობით ახალი სახეობაა. მისი მიმდევრები ოსტატობასთან ერთად გამძლეობითაც უნდა გამოირჩეოდნენ, რადგან აქ, სპორტული კარატესაგან განსხვავებით, დამუშავებულია დარტყმების მიყენება. ამ რამდენიმე დღის წინ რუდაქციაში გვეწვია ბათუმელი სპორტსმენი, საქართველოს ჯიუ-ჯიტუს ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ლევან ასკურავა, რომელმაც მეტად საინტერესო რამ გვიამბო:

— აღმოსავლური ორთაბრძოლებით დიდი ხანია დავინტერესდები. თორმეტი წელია, რაც ვვარჯიშობ. ყოფნისას შემთხვევით გავიცანი ვიეტნამელი მოქალაქე ვან მაი ჰოუ, რომელიც კუნ-ფუ ვიეტკონაოს სპეციალისტი აღმოჩნდა: სწორედ მან მაზიარა სპორტის ამ სახეობას და პირველი ვაკვეთილებიც ჩამიტარა. მას შემდეგ, დამოუკიდებლად ვვარჯიშობდი, სურვილი დიდი მქონდა, დრმად დავუფლებოდი ამ სახეობას. და აი, 1990 წლის დეკემბერში პოუსაგან მივიღე კერძო მიწვევა და ვავემგზავრე ვიეტნამში. ვიეტკონაო კუნ-ფუს ვიეტნამური სახეობაა და მათი სკოლა ვანთქმულია მსოფლიოში. ვიეტნამში მეცადინეობის შემდეგ მომანიჭეს ოსტატის წოდება. აქვე ინდივიდუალურად მიმიღეს პანოსის საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციისა და, ავტორმატურად, აზიის ფედერაციის წევრად, რადგან ვიეტნამი აზიის ფედერაციის წევრია. დავდეუ ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობაზე.

მათ უფლება მომცეს საქართველოში ვაეხსნა სკოლა, ჯერჯერობით

ვიეტნამის სახელით; ხოლო ვიეტკონაოს საქართველოს ფედერაციის ჩამოყალიბების შემთხვევაში, პანოსის ფედერაცია შეგვიპირდა, რომ დავეხმარებოდა ვაეწვევიანდეთ აზიის ფედერაციაში (როგორც ვაეწვევით, ფედერაცია ახლო მომავალში შეიქმნება. — გ. ხ.). ახლა, უფლებამოსილი ვართ, მონაწილეობა მივიღოთ აზიის პირველობების ყველა შეჯიბრებაში.

ამჟამად მიგვეწვიეს ვიეტნამში საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციის ერთობლივ საწვრთნელ ვარჯიშებზე, სადაც საქართველოდან ათი სპორტსმენი ვაეგზავრება. მაგრამ ფინანსურად ძალიან გვიჭირს და როგორ ვადავეპროთ ამ პრობლემას, ჯერ კიდევ ვაუკვეველია... პირადად მე, საკუთარი ხარჯებით ვიყავი წასული, ათი კაციის საკუთარი ხარჯებით ვაეგზავრება კი წარმოუდგენელია. თუ გამოჩნდება წარმომებები, რომლებიც სპონსორობას ვაევიწვევენ და ცოტას მაინც დავეხმარებთან, ისინი დასწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ საქართველოს სპორტული სუვერენიტეტისთვის ვაეჩვენებთან. თანხა შევიძლიათ ვადმოიხსნოთ ანგარიშზე: 000700428, საბავრომრეწვის ბანკის სოპერაციო სამმართველო. საქართველოს ჯიუ-ჯიტუს ფედერაცია.

ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ძალასა და უნარს არ დავიშურებთ, რათა უფრო ავიმალლოთ ოსტატობა და ვიეტნამელებთან საქმიანი ურთიერთობით ხელი შევეწყუთ სპორტის ამ ახალი სახეობის საქართველოს ფედერაციის დამოუკიდებლად გაწვევრიანებას. აზიის ქვეყნების კუნ-ფუ ვიეტკონაოს ფედერაციაში.

ესაუბრა ვიე ვარლუნი.

„გორდას“ არ ეს უმერება...

მართალი მეტალურგთა ქალაქის საფეხბურთო კლუბი „გორდას“ ერთ-ერთი მათგანი იყო, ვისი სათამაშო ხელწერა გასული სეზონის დასაწყისშივე გამოიკვეთა. მეორე ტურში თავიდანვე ფავორიტად შერაცხულ „ბერისთან“ შეხვედრაში თბილისელები ძლივს გადაურჩნენ დამარცხებას (მეორე წლის მატჩში კი თბილისის ეროვნულ სტადიონზე რუსთაველებმა გაიმარჯვეს 1:0). „გორდას“ შესახებ ალაპარაკდნენ და არც იყო გასაკვირი — რუსთაველები თამაშთან თამაშამდე ზევიდნენ ისტატობას.

თუმცა, სკეპტიკოსთ არაერთხელ გამოუთქვამთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსთაველებს ძალიან ალარე ეყოფოდათ ჩემპიონატის წარმატებით დასასრულებლად, მაგრამ „გორდას“ თამაშად თქვა თავისი სიტყვა პირველ ეროვნულ ჩემპიონატში. ბნელია, მომეხრო ანალიზი ამ რეკორდისა, რომელიც განვიწყობთ სეზონში რუსთაველთა გუნდმა დაამყარა — ზედხედი ცხრა გამარჯვება სტუმრად თუ შინ სხვადასხვა სიძლიერის გუნდებთან.

ეროვნული ჩემპიონატის გამართვის ერთ-ერთ გამართლებად ჩვენ იმასაც მიიჩნევთ, რომ არაერთ ფეხბურთელს სპორტთან ურთიერთობის გაგრძელების „შანსი“ გაუჩინდა: ახალგაზრდა, უიმედოდ რომ შეწყურებდა მომავალს, რაკი „ლინაგოში“ არ გამოიხატა მისთვის აღგზილი, ახლა ღირსეულ მეტოქეობას სწორედ იმ „ლინაგოში“ ტრადიციულ ამოცანებზე „ბერისთან“ უწყებას. რუსთაველები „გორდას“ ასეთ იმედდარჯულ ფეხბურთელთა კრებულს წარმოადგენდა, ეროვნულმა ჩემპიონატმა კი ამ ბიჭებში პატივმოყვარეობა გააღვიძა, საკუთარი ძალების რწმენა დაუბრუნა. ამან შეიძლება გუნდის ხელმძღვანელობას საქაობად მოკლე დროში ყველა პრობლემა მთავარად იყოს, ფეხბურთელთა პოტენციალი მაქსიმალურად გამოეკვლინა და აქედან გამომდინარე, მაღალ შედეგებზე ეფიქრა.

მხოლოდ სათამაშო სტილი და გუნდის ფარული რეზერვების ამ-

ოქმედება რომ არ არის საქმარისი და ვერც წარმატების აუცილებელ ვარაზად იქცევა, ამას მტკიცება არ სჭირდება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ნორმალური ადამიანური ურთიერთობები, ურომლისდაც ყოველგვარ გამარჯვებაზე ფიქრიც ზედმეტია. „გორდას“ სიძლიერის საფუძველიც ხომ სწორედ კოლექტივში არსებული განსაკუთრებული ურთიერთობები და მეგობრული ატმოსფეროა. რუსთაველთა გუნდი ამ მხრივ, მართლაც უმისაბაძია.

ბნელია, რომ საქართველოში გუნდმა დაიტრახა ისეთი ერთგული მაყურებელი, როგორც „გორდას“ ჰყავს. ჩემპიონატის განხილვის დროს ბოლომდე მხარში ედგნენ რუსთაველი მწრთელები ბიჭებს, რომლებიც მათი ქალაქის ღირსებას იცავდნენ. რუსთაველმა მაყურებელმა მარცხთან შეგუებამ იცის და შეუძლია მისი გუნდის „დამარცხებული“ ტაშით გააციოს მოედნიდან (ზუსტად ასე იყო გალის „შოკოლათის“ შინ სენსაციური მარცხის შემთხვევა). ობიექტური და შეგებული მაყურებელი კი, მოგახსენებთ, პირველ ეროვნულ ჩემპიონატს ნამდვილად აკლდა.

რუსთაველთა კოლექტივის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქალაქის ხელმძღვანელობას, წარმოება-დაწესებულებებს, რუსთაველი მეტალურგთა პარკის დირექციას და მის დირექტორს ბატონ გურამ ქაშაიაშვილს, რომელიც ამავე კლუბის პრეზიდენტია. ბიჭებს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში წარმატებით გამოხვედისთვის ამავე დაუფასდათ — კლუბის იელმძღვანელობამ მათ მსუბუქი ავტომანქანების გარდა სხვა არაერთი ძვირფასი საჩუქარიც გადასცა. ყოველდღე ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ წლებმდე სეზონში გუნდი ყველაფერს გააკეთებს წარმატების განსამტკიცებლად.

„გორდას“ შარშანდელ წარმატებაში ყველა თანაბრად მიუძღვის წვლილი. გვინდა მკითხველს გავაცნოთ სპორტის ის უჩინარი მსახურნი, რომელთა თანადგომითაც რუსთაველმა ფეხბურთელებმა სა-

პატიო მესამე აღვილი დაიკავეს. კლუბთან უკვე 10 წელია მუშაობს გუნდის უფროსი, ასევე კლუბის ეგიტ-პრეზიდენტი დავით ბუბინიძე, რომელიც ყველაზე კრიზისულ პერიოდშიც გვერდში ედგა კოლექტივს.

ბიჭების მოზარდებში ვიცი ნოდარის ეხმარება ვეტერანი რუსთაველი ფეხბურთელი იასონ ალადაშვილი, რომელიც თვრამეტი წლის განმავლობაში რუსთაველი „მეტალურგის“ ღირსებას იცავდა. ვასულ სეზონში მისმა ვაჟმა კახა ალადაშვილმა გააგრძელა მამის ტრადიცია და საქაობდ პერსპექტიულ ფეხბურთელადაც ითვლება.

გუნდის ადმინისტრატორი თამაზ გაბრიანიც მწვრთნელთა და ფეხბურთელთა მარჯვენა ხელია. იგი



პირნათლად ასრულებს თავის საქმეს.

ეჭიშვინე რომელიც კლუბის დირექტორი და მამუკა ლაშინი არაფერს იშურებდნენ, რათა მოთამაშეები მუდამ საბრძოლო ფორმაში ყოფილიყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ „გორდას“, ისევე როგორც ჩემპიონატში შონაწილე გუნდების უმრავლესობას, არ გააჩნია ელემენტარული აპარატურა აღდგენითი პროცესებისთვის.

დაბოლოს მით შესახებ, ვინც I ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდნენ, ვის-ვის და ყველაზე უკეთესად სწორედ ბატონ ვიცი ნოდარის მოხსენება მათი ავ-კარგი. ამიტომ სიტყვას მას ვაძლევთ:

შეჯამება — ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა საქართველოში,

მიუხედავად იმისა, რომ კმაყოფილი ვარ მისი თამაშით, ეფიქრობ, მას აქვს რეზერვი, რომლის ამოკვეთებაც საქართველოში უკლებლივ მოხერხდება. „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელია „სათამაშო პრაქტიკის უკლებლივ გამოკვინდა სერიოზული ჩავარდნით. ერთ-ერთი ნიჭიერი და პერსპექტიული მეკარეა.

მირსალაშა — ძალზე ძლიერი და სტაბილური ჩაატარა მთელი ჩემპიონატი და შემთხვევითი არ არის, რომ კლდინოვთან ერთად გაზეთ „ნატვისთვის“ სიმბოლური ნაკრების შემადგენლობაში მზნება.

მასრაშვილი — ერთ-ერთი საუკეთესო უკანა მცველი საქართველოში; ზედმეტი ემოციურობა ხელს

უშლის თავისი შესაძლებლობების სრულად გამოყენებაში. ნაკლებად მონაწილეობს შეტევებში, არადა, საამისო პოტენციალი მას ნამდვილად აქვს.

კუდიშვილი — მთელი მონდობებით თამაშობდა თითქმის ყველა მატჩს, რის გამოც, რუსთაველთა ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი გახდა.

აპაქიანი — კმაყოფილი ვარ მისი საქმისადმი დამოკიდებულებით. მოკარბებული ენერჯია აქვს, რაც ხანდახან ზედმეტ ფაი-ფუცში იხრდება. საკმაოდ შედეგანი იყო წინა წლებში და ვეცდებით იყო უნარი წლებმდე სეზონში სრულად გამოვიყენოთ.

დიმიტრიშვილი — ტრავმის

გამო სეზონი სტაბილურად ვერ ჩაატარა. ზედიზედ რამდენიმე თვეა, ამის მიზეზი ჩვენს ხელით არ ვაძლევთ. რამაც ყველაზე მეტად სწავლობა სწავლობა შეიძლება გეხმობდეს გამოდგოდა.

კილაშინა — მისთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო შარშანდელი სეზონი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფეხბურთელი რამდენიმე წელიწადია გუნდშია, მხოლოდ ახლა გამოვიხილა მისი ნიჭი სრულად.

პატიშვილი და ტარიელ პაპია — თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან, თავდადებული, ტექნიკური, შედეგანი ფეხბურთელები. სწორედ ამიტომ, რუსთაველთა შორის ავტორიტეტით სარგებლობენ.

მხარაშვილი — ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად ვერ არ გამოიყენებდა.

ფანცულაია — ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია ეროვნულ ჩემპიონატში. თუმცა, პირველ წრე გაცილებით ძლიერად ჩაატარა, ვიდრე მეორე წრის ზოგიერთი შეხვედრა. საკმაოდ პოპულარულია რუსთაველი და, ეფიქრობ, საქართველოშიც, რადგან პრინციპი — „ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელს“ ხომ სწორედ მას მიენიჭა.

მიქაშაშვილი — ურთულესი ამ პლუა აქვს. შედარებით უჭირს შინ თამაში, ვიდრე სტუმრად, სადაც უფრო თამაში და შედეგანი იქნება. II ტურში უფრო დამაჯერებლად მოქმედებდა მინდორზე.

აფხიაშვილი — უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია, კარგი თამაშით თავისი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში, მაგრამ თავივეუკავებელია, რის გამოც, ხშირად ქაონია კონფლიქტი მსაჯებთან.

ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს გუნდში მომხდარი ცვლილებებიც: გუნდის ბირთვი ძირითადად შენარჩუნებულია. „გორდასში“ თამაშის სურვილი გამოთქვა „ქუთაისის“ ყოფილმა წევრმა როსტომ თორღაშვილმა. შარშან „უმცირესი“ „გორდასთან“ მოწყველ კახა ალადაშვილს და სანდრო ბურჩაძეს კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი დამატება.

„გორდას“ დამატკიცა, რომ მას ხუმრობა არ უყვარს და არც სიტყვები ატანს პაერს; ამდენად, მისი მწვრთნელის ნათქვამი, რომ გუნდს ძალიან უკეთ ითამაშოს, მომავალი მეტოქეები სერიოზულად უნდა შეხვდნენ.

იხილეთ ჩვენს ლაზერში

მიიღვიან და...

საპარტივლო დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობის ერთ-ერთი საპრობორტო საკითხს ბავშვთა ფეხბურთის წარმოადგენს. ფეხბურთის დასრულებას და ჩამოყალიბებას კი სწორედ სხვადასხვა ტრადიციული საკავშირო ტურნირებში გამოსვლა უწყობდა ხელს. ახლა კი, „ცენტრის“ მექარა „საკუთარ ტავში უნდა დავხრუკოთ“, მოზარდებზეც ვაგრძელებ და შარშან მათ თითქმის არც ერთ ასეთ ღონისძიებაში არ მიუღიათ მონაწილეობა (ვევლისხმობთ საკავშიროს, რადგან მიუხედავად წინააღმდეგობებისა, რესპუბლიკის რამდენიმე კოლექტივმა სახვარეაგოეთულ ტურნირებში ასაპარეზა).

წელს ბიჭებთან გამართულ შოთა იანიანის სახელობის ტურნირ-

ზე ხარკველები გვესტუმრნენ, ახლა კი ბელორუსის ქალაქ ორშანში ჩატარებულ საპროტო კავშირის გამორის კ. ზასლონოვის სახელობის ტრადიციულ ტურნირზე, სადაც 1978 წელს დაბადებული ასპარეზობდნენ, ხობელი და ფოთელი სპორტმენებიც მიიწვიეს.

ტურნირში მონაწილეობდა ათი გუნდი, რომელნიც თავდაპირველად ორ ქვეჯგუფში განაწილდნენ. პირველ ქვეჯგუფში გამოდიოდნენ: სმოლენსკის „ისკრა“, გელენჯიკის „სპარტაკი“, ბორისოვის „პრავდა“, ორშის საფეხბურთო სკოლის პირველი გუნდი და ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის კოლექტივი; მეორე ქვეჯგუფში ასე გამოიყურებოდა: ორშის საფეხბურთო სკოლა — II, მოსკოვის „სმე-

ნა“, ფოთის „კოლხეთი“, ვორკუტის „სპარტაკი“ და ნოვოკულონის საფეხბურთო სკოლის ფუნდი.

მიუხედავად მკაცრი კლიმატური პირობებისა (თამაშები დათავილდნენ მინდორებზე მიმდინარეობდა), რაც ხობელი ფეხბურთელებისათვის კარგი „მოკავშირე“ არ უნდა ყოფილიყო, მათ კარგად იასპარეზეს და დასახულ მიზანს მიადრეს: ჭერ გელენჯიკელები დაამარცხეს (1:0), შემდეგ — ორშელებს მოუგეს (3:0), მესამე ტურში კი სმოლენსკელი თანატოლები დაჯანეს — 2:0.

გადამწყვეტ ეტაპზე ხობელებთან ერთად ველენჯიკის, მოსკოვის და ნოვოკულონის გუნდები გავიდნენ, ხობელებმა ამჯერადაც იმარჯვეს — დაამარცხეს მოსკოველი (1:0) და ნოვოკულონელი (2:0) ყმაწვილები და ტურნირის მთავარი ჩილოდო მოიპოვეს. თუმცა მხოლოდ ეს როდი „იკმარეს“ ქართველმა სპორტმენებმა — ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ხობელთა გუნდის ნახევარმცველი თემურ ბექვაია, რომელსაც ფულადი ჯილდოც გადაეცა.

დაბოლოს მით შესახებ, ვინც გუნდი მოამზადა: მწვრთნელებმა — ნ. ლემონჩაჟამ და თ. სვანიძემ ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ მათ აღსაზრდელებს თავი არ შეერცხვინათ.

ტარიელ ვერულაშვილი

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული ხობის „ოლიმპიური რეზერვის“ გუნდი.

ეროვნული ჩემპიონატები

გრძელდება ეგროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები.

როში. იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში მე-16 ტურის შემდეგ ლიდერობენ „ინტერი“ და „იუვენტუსი“. ვანვლო ტურში „ინტერი“ სტუმრად ქულა დაკარგა „ლაციოსთან“ (0:0), ხოლო „იუვენტუსმა“, ასევე სტუმრად, ღილი ახვარაშით დაამარცხა „პიზა“ — 5:1. ორივე ლიდერს ამჯერად 22-22 ქულა აქვს. დაწინაურებულებს ქულით ჩამორჩება „მილანი“, რომელმაც შინ ახვარაშით 2:0 დაამარცხა „ბარა“ (თუმცა, „მილანს“ ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული). მარცხი იწვნია ამასწინანდელმა ლიდერმა „სამპდორიამ“, რომელმაც სტუმრად წააგო „ლიჩესთან“ — 0:1.

გარდში. უნდადების ცენტრში იყო მადრიდის გუნდები: „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ შეხვედრა. „ატლეტიკომ“ ღილ წარმატებას მიადრწია და დაამარცხა მეტოქე — 3:0.

მიუხედავად ვანვლო ტურში ვანცილი მარცხისა, მეტოქის მიმართ „ოვიენოსთან“ (0:1), გათამაშებას ლიდერობს „ბარსელონა“, რომელსაც 29 ქულა აქვს. მეორე ადგილაზე „ატლეტიკო“ — 25 ქულა, მესამეზე — „ოსასუნა“, — 23 ქულა. „რეალი“ 18 ტურის შემდეგ 21 ქულით IV-V ადგილებს იყოფს „სევილიასთან“ ერთად.



დ. მარადონას განცხადება

ავადმყოფი მამის სანახავად იტალიიდან ბუენოს-აირესში ჩავიდა დიეგო მარადონა. მას კურნალისტებმა აერთაბორტში გაუმართეს პრესკონფერენცია, სადაც დიეგო მარადონამ განაცხადა:

— იტალიაში თამაში ათარ შემოძლია. უამრავი პრობლემა გამიჩნდა. უწინ ბედნიერი ვიყავი ნეაპოლში, მაგრამ ახლა წასვლა მინ-

და და თუ „ნაპოლი“ არ გამოთავისუფლებს მომავალ სეზონში, ფეხბურთის თავს დავანებებ.

ბნელი სათქმელია, გულწრფელად ამბობს ამას დ. მარადონა, თუ ჭირვეულობს. მისი კონტრაქტი „ნაპოლისთან“ 1993 წლამდე ვათავისუფლებს. როგორც ფეხბურთელმა განაცხადა, კლუბის პრეზიდენტმა მას აღუთქვა, რომ აღარ

შეაწუხებს სეზონის ბოლომდე, და აუ ეს არ მონდა, ფეხბურთელს განხრახული აქვს დატოვოს მწვანე მანდორი.

30 წლის მარადონა ამას წინათ „ნაპოლის“ ხელმძღვანელობამ დიდა თანხით დააჯარიმა სხვადასხვა დარღვევისთვის. პრეს-კონფერენციაზე მან ისიც თქვა, რომ არ აპირებს თამაშს იაპონიის ერთ-ერთ მდიდარ კლუბშიც, რომელიც მას მილიონებს აღუთქვამს და აღარც არგენტინის ნაკრებში გამოვა.

მთავარი პრიზი — „ბაიერსი“

მარსკლი. საფრანგეთის ამ ქალაქში მოეწყო საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ მიუნხენის „ბაიერნი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. მატჩი და მასთან ერთად მთავარი პრიზი მოიგო „ბაიერნი“ — 4:2.



ბაკურიანი, იანვარი, არდადეგები...

საბინაშენო და ხეივანი სამუშაოების, მთის სფეროში, ზამთრის ტყეში ხეივანების მოყვარულნი მალაშვიანი ბაკურიანის პანსიონატებში, დასახვენი ბელ სახლებში, კერძო თუ კოოპერაციულ „მეორეოტელეზი“ რომ ცხოვრობენ, ჩანს, დიდად კმაყოფილი არიან.

ბაკურიანის სტუმრები არ განიცდიან თბილამურების, ციგების, თოვლაგობებისა და, რაც მთავარია, თოვლის დეფიციტს.

ერთი სიტყვით, რა ხეობს მწიურ, ქათქათა თოვლიან ბაკურიანს..

ავთანდილ მაკავარიანის ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა)



ნაბს პროფესიულ კალათბურთელთა ლიგის ერთ-ერთი ტიტულთან კლუბის „ბოსტონ სელტიკის“ ყველა წარმატება, ფაქტობრივად, ლარი ბიორდის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ ლიდერის ერთწლიანმა ტრავმამ ბოსტონელები მთავარი პრიზისათვის ბრძოლას გამოთიშა, თანაც კარგა ხნით. შარშან, წლის ბოლოს ექიმებმა, როგორც იქნა, „შეაკოწიწეს“ ბიორდი და ხანმოკლე ვარჯიშის შემდეგ ლიდერი მწყობარში ჩადა.

ბოსტონელთა საქმე მაშინვე გამოკეთდა. გუნდი ატლანტის დივიზიონის ლიდერი გახდა, მაგრამ... ბოლო დროს 34 წლის ვეტერანს არ სწყალობს ბედი, ბიორდმა ისევ ტრავმა მიიღო. გუნდმა ერთხანს ინერციით რამდენიმე შეხვედრა მოიგო (მათ შორის „მილუოკი-სთან“ — 110:102 და „ნიუ-იორკ ნიქსთან“ 101:87), მერე დამარცხდა „ვაშინგტონ ბულიტსთან“ — 92:116 და ახლა რთული პრობლემა აქვს ვალსაწყვეტი ბიორდის შეცვლასთან დაკავშირებით. მისი შემცვლად კვინს მაკ-ნილი ცუდად როლი თამაშობს, პირიქით, იგი ერთი-ორად უფრო მონდომებულია და, რაც მთავარია, ტყორცების სისუსტითაც გამოირჩევა, მაგრამ შესძლებს თუ არა ბიორდის შეცვლას სრულფასოვანდ მთელი სეზონის მანძილზე, ძნელი სათქმელია.

ასლა ჩემპიონატის პრიზიორთა სიებსაც გადავხედოთ:

Table with 3 columns: Team Name, Points, Percentage. Includes teams like „ბოსტონი“ and „ფილადელფია“.

Table with 3 columns: Team Name, Points, Percentage. Includes teams like „ნიუ-იორკ ნიქსი“ and „ვაშინგტონ ბულიტსი“.

Table with 3 columns: Team Name, Points, Percentage. Includes teams like „სან-ანტონიო“ and „იუტა ჯაზი“.

Table with 3 columns: Team Name, Points, Percentage. Includes teams like „პორტლენდი“ and „ფინიქსი“.

პრობისა ბაკურიანში, დღეები

მალთა პროფესიული ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი „ვირჯინია სლემის“ ჩემპიონატი გახლავთ, მაგრამ ადვილი შესამდებელია შეჯიბრების მნიშვნელობა ოდნავ დააკნინოს „დიდი მუზარადის თასის“ გათამაშებამ ქალთა შორის. რამდენად რეალურია ამ ახალი ტურნირის ჩატარება, ძნელი სათქმელია, ვინაიდან ქალთა პროფესიული ჩოგბურთი მთლიანად და უსიტყვოდ არ ემორჩილება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციასა და მის პრეზიდენტ ფილიპ შატრისს. ეს ამ უკანასკნელმა კარგად იცის და ცნობილი ანტიკარნიზორის მარკ მაკორმაკის წინადადებას ქალთა „დიდი მუზარადის თასის“ გათამაშების ორგანიზაციის თაობაზე თავდაპირველი შეხვედრა.

ვკეთა ანალოგიურმა ტურნირმა შარშან, წლის ბოლოს, საკმარისი დი ინტერესი გამოიწვია, თუმცა, მასში მონაწილეობა ვერ მიიღო რამდენიმე ცნობილი ჩოგბურთელი. მაშინვე გახდა ცნობილი ქალთა უარყოფითი დამოკიდებულება „დიდი მუზარადის თასისადმი“. ასლა, როგორც ამბობენ, უძლიერესებმა პოზიცია შეიცვალეს. ყოველ შემთხვევაში, ზოგი ამერიკელი ჩოგბურთელის განცხადებით, ქალები ამ საკითხში არ უნდა ჩამორჩნენ მამაკაცებს. ყველაფერს ალბათ მაინც საპარიზო ფონდის ოდენობა გადაწყვეტს. თუ ქალთა ამ ტურნირსაც სარეკორდო პრემიები დაენიშნა, ძნელია, ვინმემ ვაუჭისის წინააღმდეგობა ცდუნებას.

ევროპის საკლავო ტურნირები

ევროპის საფეხბურთო ასოციაციამ კავშირის ხელმძღვანელობამ გამარჯვებულ სია; რომლის მიხედვითაც, კონტინენტის ქვეყნები 1991-92 წლებისთვის ინარჩუნებენ უფასო ტურნირში წარმომადგენლობის უფლებას რაოდენობას: 4-4 კლუბს გამოიყვანენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია და ესპანეთი, სამსაშს — ბელგია, საბუთა კავშირი, პორტუგალია, საფრანგეთი, და პოლანდია, ორ-ორს — რუმინეთი, შოტლანდია, შვეიცია, იუგოსლავია, ავსტრია, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, საბერძნეთი, უნგრეთი. დანარჩენ ქვეყნებს მიეკუთვნება თითო ადგილი. ჯერ კიდევ გაურკვეველია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკითხი, რომელსაც გერმანიის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებამდე გამოყოფილი ჰქონდა 2 ადგილი.

როგორც ცნობილია, 1990 წელს ინგლისის კლუბები დაუბრუნეს ევროპულ ტურნირებს, მაგრამ მთავარ

უნიონის ფეხბურთის აზიები

ვარ შეჯიბრებებში — ჩემპიონთა თასზე — ინგლისის კლუბი არ მონაწილეობდა. საქმე ისაა, რომ ინგლისის ჩემპიონს „ლივერპულს“ აქვს „უნიონალურად“ აქვს აკრძალული ევროპის საკლავო ტურნირში მონაწილეობა 3 სეზონით იმის გამო, რომ „ლივერპულს“ გულშემატკივრებმა სისხლისმღვრელი აქცია მოაწყვეს ბრიუსელის სტადიონზე. ინგლისელებმა პეტრიციტ მიმართეს უფასო, რათა „ლივერპულს“ შეუმსუბუქდეს ეს სასჯელი. ინგლისელთა თხოვნას უფა განიხილავს თავის ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე.

გალების საუკეთესო ფეხბურთელი

ბელგიის ფეხბურთის ხელმძღვანელების, ჟურნალისტებისა და არ-

ბანაჩანსა, ცხადია, დაგვიხიბა, მაგრამ მან მთელი სისასტიკით დასაჯა ორი ფრანგი (ერეკ კორიტუ, ჟამ-რენე ბერნოლო) და ერთი დასავლეთგერმანელი (დებრიტ ტურაუ) ველოსიპედისტი, რომლებიც 1986 წელს მნიშვნულ იყვნენ დოპინგის მიღებაში.

აშშ-ის საკლავო ტელევიზიამ „ბეი-ტე“-მ სარეკორდო მოგება მიიღო ევანდერ პოლიფილ-ჯეიმს დუგლასის ორთაბრძოლის ტელეგადაცემაში. მილიონაზღვარ მაყურებელს ათწუთიან სანახაობაში

ინფორმაცია

35 დოლარის (ცხადია, თითოეულს) გადახდა მოუხდა.

სახანძრო კავშირის კლასიკური სტილის მოქიდავეთა ნაკრებს თერთმეტი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა წარსულში ცნობილი ათლეტი, მსოფლიოს ორჯის ჩემპიონი გენადი საპუნოვი. ახლა მან

ახალი არჩევანი გააკეთა: ვაგეზაგრა თურქეთს და იტალია ოლიმპიურ გუნდს ჩაუდგა სათავეში. საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატურაზე კი კონკურის გამოცხადდება.

სხვათა შორის, თურქეთში ვაგეზაგრა სამუშაოდ მსოფლიოს ექსპერტიზის ოფისი შამპურადოვიც-საბუთა კავშირის თავისუფალი სტილის მოქიდავეთა ნაკრების ყოფილი უფროსი მწვრთნელი ახლა თურქეთის ოლიმპიურ გუნდს აწვდის.

ვკეთა ტურნირში ასპარეზობას გამოეთიშა ანდრე ჩერკასოვი, რომელიც აქ მეთოთხმეტე ნომრად იყო განთესილი. მას ავსტრალიელმა დარენ კენილმა აჯობა. მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა შეეძმა სტეფან ედბერგმა აჯობა ბელგიელ ედუარდ მასოს (6:1, 6:2, 6:3), ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა კი ამერიკელ სკოტ დევისს (7:6, 6:3, 6:2).

მსოფლიო ერთი მონაწილი

მელაპარნი, ნატალია ზვერევა ერთადერთი საბუთა ჩოგბურთელია, რომელიც ავსტრალიის ლია ჩემპიონატში განაგრძობს გამოსვლას. მეორე წრეში მან გერმანელი

კლავილი პორევი დაამარცხა — 7:6, 6:4. მეორე გამარჯვება მოიპოვეს, აგრეთვე, ზინა პარისონმა (აშშ), იანა როვოტინა (ჩეხოსლოვაკია) და საბინ აპელმანსმა (ბელგია).

რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

პარტული შიდაობის სრული

ალტრადინებისათვის

საქართველოს ჰილდობის რეპუტაციური გაერთიანების თაოსნობით კიდევ ერთ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. 1 თებერვლიდან მუშაობას იწყებს ქართული ჰილდობის შემსწავლელი ჯგუფები კვალიფიციური მწვრთნელის, საქართველოს ფალანგის — გივი კახაბიაშვილის ხელმძღვანელობით. მეცადინეობები ჩატარდება ფალანგის კლუბში. მსურველებს დაწერილობითი ცნობებისათვის შეუძლიათ მიმართონ ი. ჭავჭავაძის გამზირი № 49-ა. ფალანგის კლუბი (ტელეფონი: 29-28-70).

შიდაობის ჩანაწერი

„ლელო“ რედაქციის ნომერზე მორიგეობდა ლ. ჭავჭავაძის, კორექტორები ც. ჩიტაშვილი და მ. ძეძაძე.

ჩვენი მიხამართი: წერილებისთვის — 330096 თბილისი, მ. კოსტავას, 14, დეპარტამენტის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55 სამედიცინო — 93-97-52 ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54. „მედიანი“ — 93-97-28, „მართვა“ — 93-97-27.

ჩვენი ინფორმაცია 86435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20